საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

№ 372 1918 წ. პარასკევი ნოემბრის 1. № 372

ავსტრიელებმა მდ. დუნაის ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს.—ლონდონში უკვე მიიღეს გერმანიისა და ავსტრიის ნოტა ვილსონისადმი მიმართული.—„ნიუ-კურანტი" აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა წინსვლა საგრძნობლად შეფერხდა.

დღეს საქართველოს პარლამენტის სხდომაა.

გულდათუთქული ილია სტეფანეს ძე თარგამაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მეორმოცე დღის წირვა და პანაშვი გარდაცვალებულის საყვარელი მეუღლის და ძვირფასი მეგობრის

ნუცას

სულის მოსახსენებლად შესრულებულ იქნება სოფ. კვახჭირში (სად. რიონი) ქვაშვეთის ეკლესიაში. შაბათს 2 ნოემბერს. დასაწყისი წირვისა 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე. 2277

რაზმის უფროსი და ბ. ოფიცრები ტფილისის ცალკე მსროლელი რაზმისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ რომ უდროოდ გარდაიცვალა ამხანაგი

პოდპორუჩიკი სიმონ ათანასის ძე მჟავანაძე.

პანაშვიდი ყოველ დღე ფეოდოსიევის ქუჩა, № 20. 2281

მწუხარებით მოცული ეკატერინე მათე ფხაკაძის ასული აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი თავისი დაუვიწყარი დისწულის

ნუცა იასონ ჩხიქვაძის ასულის თარგამაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება შაბათს ნოემბ. 2 სოფ. კვახჭირში (სად. რიონი) ქვაშვეთის ეკლესიაში. დასაწყისი 10 საათზე პანაშვიდი 12 საათზე. 2277

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მინადორა, ძმა გერმანე, შვილები აპოლონ და კესარია და ბიძაშვილი იოსებ მარშანიები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა თვის 30-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ქრისტეფორე დიმიტრის ძე მარშანია

გამოსვენება და დასაფლავება რკინის გზის საავადმყოფოდან დილის 3 საათზე პარასკევს ნოემბრის 1-ლს. 2279

გულდათუთქულნი მეუღლე ლიზა პავლეს ასული, შვილები: მარიამ, ეკატერინე, ოლღა, ოლიმპიადა, თამარი, ნადია და დავითი მიხეილის ძენი სანოძეები გულითადის მწუხარებით გაუწყებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს ნოემბრის 2 (ძვ. სტ. 20 ოქტ.) გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი დილის 10 საათზე, პირველის უძვირფასესი ქმრისა და მეორეთა უსაყვარელესი მამის

მიხეილ ივანეს ძე სანოძის

სულის მოსახსენებლად ქ. ხონში მაცხოვრის ეკლესიაზე. 2275

მშობლები ნესტორ და პელაგია, ძმები: ივანე, გიორგი და თეოფანე, რძლები: ლიზა, პაშა და ქეთო ლალიაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა

კალისტრატე (კასტია) ნესტორის ძე ლალიაშვილი.

გამოასვენეს ქალაქის საავადმყოფოდან ტფილისის რკინის გზის სადგურზე ხუთშაბათს ოქტომბრის 31-ს ნაშუადღევის 3 საათზე დასაფლავება მოხდება თავის სამშობლო სოფელ ოფშკვითს (ქუთაისის მაზრა) კვირას, ნოემბრის 3-ს (ახალი სტილით). 2280

ანა ალექსანდრეს ასული და იაკინთე ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალაქ გორში გარდაიცვალა პირველის დედა და მეორესი სიდედრი

ერმონია სოლომონის ასული დიდებულიძისა.

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში შაბათს, ნოემბრის 2-ს. 1391

ეფრემ, დავითი, ვახტანგ და ნატალია მუსხელიშვილები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველები ძვირფასი და დაუვიწყარ დისა, მეორე მულისა და უკანასკნელნი მამიდისა

ერმონია სოლომონის ასულ დიდებულიძის

ქ. გორში გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება შაბათს, ნოემბრის 2-ს. 1391

ნინო და პლატონ შვილებით, ნესტორ მეუღლე კატოთი და საშა დიდებულიძენი, ელენე და ვასო ეგნატაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 30-ს ქ. გორში გარდაიცვალა პირველის დედა, მეორისა დედამთილი და დანარჩენების დიდედა

ერმონია სოლომონის ასული დიდებულიძისა.

დაკრძალვა მოხდება შაბათს, ნოემბრის 2 ს ქ. გორში. 1392

განცხადება

ქართულ რკინის გზის ნავთ-სამრეწველო განყოფილების ეზოში, ალექსანდროვის ქუჩაზე № 54, ამა ნოემბრის 1-ლს დილის 11 საათზე (ახალი სტილით) ზდანიშნულია საჯაროდ გაყიდვა ერთი ცხენისა. 1390

ი. გრიშაშვილი

საიათნოვა

იყიდება „სახალხო საქმის" რედაქციაში, წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და კიკნაძის სავაჭროში.

1386

საინჟინერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟენერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა 1375

ტფილისი, ნოემბრის 1.

ზავის საკითხი. არა ერთხელ აღგვინიშნავს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის მშვიდობიან ცხოვრების და ზავის ჩამოვარდნას. თუმცა იურიდიულად საქართველო ნეიტრალური ქვეყანაა, ეს ნეიტრალობა მან დამოუკიდებლობის პირველ დღესვე გამოაცხადა—მაგრამ ფაქტიურად ჩვენ მაინც ვერ დავაღწიეთ თავი ომის ფარგალს. ჩვენისთანა პატარა ერისათვის ეს თითქმის შეუძლებელიც იყო. მართალია ჩვენ პირდაპირ არც ერთს კოალიცაში არ ვიღებდით მონაწილეობას, მაგრამ ჩვენი სუსტი ეკონომიკა, ჩვენი მრეწველობა, სახელმწიფოებრივი განვითარება მოითხოვდა და მოითხოვს, რომ ჩვენს გარშემო ქაოსი არ იყოს, გვქონდეს საშუალება დიდ სახელმწიფოებთან პირდაპირის მიმოსვლის და ურთიერთობისა. დღეს კი კარჩაკეტილნი ვართ ძალა უნებურად და საკუთარს წვენში ვიხარშებით. ამიტომ საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება ზავის ჩამოგდებას. რაც შეიძლება მალე ზავი—აი, ჩვენი მიზანი. ამიტომ არის, რომ ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებთ თვალყურს საზავო მოლაპარაკებისათვის ნიადაგის მზადებას. მხოლოდ საერთო მშვიდობიანობა ჩააგდებს კალაპოტში ჩვენს ცხოვრებას და მხოლოდ მაშინ შეგვეძლება თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობა.

მაგრამ არის ერთი მხარეც, რასაც არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს და რაზედაც არა ერთხელ გვილაპარაკნია. დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა ყველას წარმავალი ჰგონია. განსაკუთრებით ეს ითქმის იმ უცხოელებისა, რომელნიც ჩვენში დაბანაკებულან და წყალს ამღვრევენ. ჰგონიათ, რომ 26 მაისის აქტი ხუმრობა იყო და ჩვენ ისევ დაუბრუნდებით მონობას. ამ დღეებში სომხურ გაზეთ „ჰორიზონში" დაბეჭდილი იყო ცნობა: ხმები, ვითომ გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა ალიარა, არა მტკიცდებაო. საიდან, რანაირად, როგორ გაიგო „ჰორიზონმა" ეს მისთვის სანეტარო ამბავი? რასაკვირველია მოჭორა და სამწუხაროდ ამისთანა ჭორებს ჩვენში კიდევ აქვს გასავალი, განა არ შეეძლო „ჰორიზონს", შორს რომ არ წასულიყო, აქვე გაეგო საქმის ვითარება? საქართველოს მთავრობის ოფიციალური ცნობა იყო, ჩხენკელის დეპეშა, რუსეთის თანხმობა და ამავე ჩვენი მოძულე გაზეთი ასეთს რასმე სწერს. ამ თავის თავად წვრილმან ფაქტზე იმიტომ შევჩერდით ამდენხანს, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა ჯერ-ჯერობით კიდევ არაა საბოლოოდ გამორკვეული. ჩვენი დამოუკიდებლობა ამ დღეებში აღიარა შვეციამ, ნორვეგიამ, დანიამ, ჰოლანდიამ და შვეიცარიამ. ჩვენს მტრებს ამაზედაც შეუძლიანთ ეჭვი შეიტანონ. დრო ხომ ისეთია, რომ ყოველგვარ სენსაციას გასავალი აქვს! საერთო ზავის ჩამოგდების და სამშვიდობო კონფერენციის შემდეგ კი ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა გამოირკვევა და ჩვენს შინაურ და გარეშე მტრებს ერთხელ და სამუდამოდ ლაგამი ამოედება. ამას ერთნაირი ფსიქოლოგიური გარდაქმნაც მოჰყვება და ვეღარავინ გაგვიბედავს გულდამშვიდებით გვირჩიოს: ხელი აიღეთ დამოუკიდებლობაზე ამას შეუერთდით, ან იმასაო, როგორც ამას გვეუბნებიან საორშაბათო გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" თანამშრომელნი.

არის თუ არა ისეთი პირობები, რომ ვილაპარაკოთ ზავის მოახლოებაზე? ჩვენ თავიდანვე, როცა ეს საზავო კომპანია დაიწყო, აღვნიშნეთ, რომ წელს ეს მსოფლიო სისხლის ღვრა გათავდება. ახლა მდგომარეობა ასეთია, ჩვენ ვიცით, რომ გერმანია გულწრფელად მოწადინებულია მშვიდობიანობის და უდიდესი დათმობაც მოახდინა თავის მხრით. ავსტრო-ჰუნგრეთი პირდაპირ სეპარატიულ ზავზე ლაპარაკობს და არც კი უცდის თავის მოკავშირეებს, ისე უთმობს ყველაფერს. საქმე მიმდგარია ეხლა მოკავშირეებზე.

მოკავშირეების პრესის უმრავლესობა წინააღმდეგია ზავისა და მოითხოვს გერმანიისათვის სამაგიეროს გადახდას. მაგრამ ხალხის, მასსის და განსაკუთრებით კი მუშათა კლასის აზრი სულ სხვაა. საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირების ყრილობაზე და საფრანგეთის მუშათა პარტიის ნაციონალურმა კომისიამ მიიღო რეზოლიუცია, სადაც აღნიშნავს —გერმანიის საზავო წინადადება გულწრფელია. უეჭველად იგი უნდა მივიღოთო. ასევე მოიქცა ინგლისის მუშათა პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლობა, რომელმაც მთავრობას წარუდგინა პეტიცია მთავრობას—გერმანიამ რომ ვილსონის მოთხოვნილება მიიღო, ეს ზავის გულწრფელ სურვილს ჰნიშნავს და ინგლისმაც უნდა გადასდგას შესაფერისი ნაბიჯიო.

ამნაირად ხალხი ყველგან მოწადინებულია ზავს. უკანასკნელი ცნობები კი, რომლის მიხედვითაც გერმანიას და ავსტრო-ჰუნგრეთი დათანხმებულა ამერიკის ყველა მოთხოვნილებაზე—ფრიად დიდი იმედის მომცემია ამიტომ კიდევ ვიმეორებთ: გატანჯულ კაცობრიობის და პატარა საქართველოს საკეთილდღეოდ ზავი ახლოვდება. ამის ობიექტიური პირობები უკვე ჩამოთვლილი იყო ზემოდ, ხოლო დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ ლლოიდ ჯორჯი და ბალფური საფრანგეთს ჩასულან, უეჭველია, საერთო საზავო პლატფორმის შესამუშავებლად.

ანექსია-კონტრიბუციის გაღრმავება

სარაევოს დრამის შემდეგ ლიტერატურაში და პოლიტიკურ წრეებში პოპულიარული მოძღვრება იყო ეროვნულ თვითგამორკვევა და ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ. შემდეგში, როცა ანექსიის და კონტრიბუციის პრინციპი განხორციელდა რუსეთის დიდ ტერიტორიაზე ეს პრინციპი რამდენადმე გაამასხარავეს, ხოლო მარნის ველზე უკანასკნელ კატასტროფამდე ხსენებული პრინციპი სავსებითაც იყო დავიწყებული.

როგორც ირკვევა ანექსიის და კონტრიბუციის პოლიტიკის წინანდებურად წარმოება დაბერებულ და მოჭანცულ ევროპიულ კაპიტალიზმს არ შეუძლიან. თანამედროვე ცხოვრებაში ყველაფერს აქვს საზღვარი და თანამედროვე უაზრო, გამანადგურებელ ომსაც იმიტომ ჰქონდა ადგილი, რომ კაპიტალის კონცენტრაციის გვერდით კოლონიათა კონცენტრაციას დაურჩა ადგილი, რომელიც სწორედ ანექსიის და კონტრიბუციის პოლიტიკამ შექმნა. პაწია ინგლისი სულ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დედა მიწის ზურგზე უპირველესი და უდიდესი სახელმწიფო შეიქმნა, რომლის ტერიტორია აღემატება 400 ათას ოთხკუთხედ გეოგრ. მილს. თვით რუსეთი, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნეში ძლივს 40 ათას ოთხკუთხედ მილს შეადგენდა იაპონიასთან ომამდე თერთმეტ ჯერ გაიზარდა და მსოფლიოში ტერიტორიალურ სიდიდით ინგლისს შემდეგ დაიჭირა მეორე ადგილი.

არის თუ არა შესაძლებელი, რომ კოლონიათა კონცენტრაცია კვლავ მოხდეს ისეთივე სისწრაფით, როგორც ეს ხდებოდა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეში? ეს კითხვა დღეს მსოფლიოს წინაშეა წამოყენებული, მის გადაჭრას ცდილობს ამერიკის პრეზიდენტი ვილსონი და ჩვენ ვფიქრობთ სწორედ ამ საკითხის გადაჭრას უდიდესი, სამსოფლიო მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისა და ერებისათვის. საქართველოც უეჭველად აღორძინდება ამ პრინციპის ნიადაგზე და ამიტომ საჭიროდა ვსთვლით ამ ნიადაგს ისევ მივაპყროთ ჩვენი მოწინავე საზოგადოების ყურადღება.

დღეს ვილსონმა ისევ წამოაყენა ანექსია კონტრიბუციის პრინციპი. მაგრამ ერთის განსხვავებით, ვილსონი ამ პრინციპს დეკოლონიზაციის პრინციპს უმატებს. ჩვენ ჯერ არ ვიცით რამდენად ექნება ვილსონის მოთხოვნილებას გასავალი, მაგრამ თუ ვილსონი მართლა გახდა ზავის პიონერი, მისი ნაბიჯი იქნება გაცილებით მეტი რევოლიუციონური მნიშვნელობისა, ვიდრე თვით ბოლშევიკურ რუსეთის თებერვლის და ოქტომბრის ქარტეხალებს ჰქონდა. ვილსონის პოლიტიკა არა თუ ანექსიის და

კონტრიბუციის უარყოფაა, ის თანამედროვე კოლონიალურ სახელმწიფოების დარღვევის პოლიტიკაც არის. რასაც აუცილებლად გულისხმობს ეროვნული თვითგამორკვევა და დემარინიზმის და დემილიტარიზმის ქადაგება.

თუ ჩაუკვირდებით თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნების ცხოვრებას, მათ შორის ქიშპობას და მეტოქეობას ადვილად დავინახავთ რომ თანამედროვე ომი არის ომი არა ახალ ქვეყნებში ახალ ქვეყნებისა და კოლონიებისათვის, არამედ კაპიტალისტურ სახელმწიფოების ერთმანეთის დასაცემად, კოლონიების ხელიდან გამოსაგლეჯად. კოლონიალური ომები წინად უმეტეს შემთხვევაში სამხედრო სეირნობას შეადგენდა, დღევანდელი ომი კი გახდა უმაგალითო უბედურების მიზეზი, რომელმაც აღაშფოთა არა მარტო დემოკრატიული მსოფლიო, არამედ ბურჟუაზიული სამყაროც. რამდენადაც პირველი იყო ადვილი, იმდენადვე მეორეა ძნელი, თითქმის მიუწდომელი. მეოცე საუკუნე იქმნება ხანა კაპიტალისტურ ომების შეუძლებლობისა, მისი დათრგუნვისა, კოლონიების თანდათანი განთავისუფლებისა. ეხლანდელი ომი—აი პროლოგი ამ მოვლენისა და თუ ასეთი რეფორმა ასე ძვირად უჯდება კაცობრიობას, ცხადია, პატარა ერების და კოლონიების თავისუფლება უდიდესი მოვლენაა რასაც დიდი ხარჯი სჭირიან.

თვით რუსეთმა მეოცე საუკუნე ასეთ მოვლენისათვის გაშალა ასპარეზი. კოლონიალური ომი იაპონიასთან გათავდა კოლონიალურ რუსეთის დამარცხებით, რომელმაც პორტსმუტის ზავით დაკარგა 30 ათასზე მეტი ოთხკუთხი ვერსი კოლონიალურ ტერიტორიისა. დამახასიათებელია, რომ რუსეთის დეკოლონიზაცია მაშინ მოხდა ამერიკაში და დღესაც იგივე პრინციპი გვესმის იმავე ამერიკიდან. მეოცე საუკუნის ომები ბალკანეთში, ომი ოსმალეთთან პატარა სახელმწიფოების გახდა კოლონიალურ ოსმალეთის დაცემის ომად და პატარა სამეფოების გაძლიერების აქტად. ამ ჟამად გერმანია თანხმდება ვილსონის პრინციპს და ამნაირად მსოფლიო ორ მებრძოლ სახელმწიფოებში გასავალი აქვს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ქადაგებას, რომელიც გაღრმავებული დეკოლონიზაციის პრინციპით. მეტს უკვირს, რომ ვილსონის წინადადებას ასე მედგრად გამოეხმაურა გერმანია. საზოგადოებას უნდა მიექცია ყურადღება შემდეგი მოვლენისათვის; ინგლისი მეტად უსიამოვნოდ შეხვდა ვილსონის დეკლარაციას. ამ ფაქტებში ჩამარხულია თანამედროვე ომის და ზავის მთელი საიდუმლოება და ვინც იცნობს ამ საიდუმლოებას მისთვის აშკარაა: ვილსონის წინადადება, როგორც ამერიკისათვის, ისე გერმანიისათვის სასურველია და მისაღები. საქმე იმაშია რომ ამერიკაც და გერმანიაც შედარებით ახალი კაპიტალისტური ქვეყნებია, რომელნიც ასპარეზზე გამოვიდნენ მაშინ როცა საფრანგეთს, ინგლისს და სხვ. [illegible] კოლონიები დაჭერილი ქონდათ, [illegible] დიდი სახელმწიფოა, რომელთაც პაწია სახელმწიფოების კოლონიებიც არ აქვთ და ამნაირად დეკოლონიზაციის პრინციპი, პრინციპი პატარა ერები და ქვეყნების განთავისუფლებისა არც ამერიკას, არც გერმანიას არას აკლებს, ეს პრინციპი ინგლისის უბედურებაა და ამიტომ დღეს ინგლისია რომ ომის გაგრძელებას ცდილობს ვილსონის ქადაგების მიუხედავად.

ამერიკას ორი მტერი ყავს ეკონომიკურ სარბიელზე: იაპონია და ინგლისი, ორივე ეს კონკურენტი ამერიკისა კოლონიალური სახელმწიფოა. დააუძლურეთ იაპონია და ინგლისი დეკოლონიზაციით—მოიგებს ამერიკა და ამერიკასთან ერთად გერმანიაც. ამიტომ ნურავის გონია, რომ ვილსონი ქადაგებს ჰუმანიურ აზრებს განყენებულად, არა, ვილსონის ჰუმანიზმი ამერიკის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა, ამაში გერმანიაც დაინტერესებულია და ამიტომაა ეს ორი სახელმწიფო ყველაზე მეტად ეტრფის ომის ლიკვიდაციას.

ვილსონის პრინციპები ჩვენს პატარა სამშობლოს ახალ გარანტიას აძლევს მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების განმტკიცებისათვის უეჭველია, ინგლისი და საფრანგეთიც ამ გზას დაადგებიან.

თედო ღლონტი.

სომხური პრესა

სასკოლო პოლიტიკა და მიმდინარე სამოსწავლო წელი.

სომხურმა პრესამ დიდი ხანია რაც დაიწყო საქ. რესპ. განათლების სამინისტროს საწინააღმდეგო კამპანია. გაზეთები „ჰორიზონი" და „მშაკი" იწუნებდნენ განათლების სამინისტროს პოლიტიკის, კურსს, განსაკუთრებით, ბრალს სდებდნენ მას არა ქართველი ელემენტების განსაკუთრებით სომხების სასკოლო ინტერესების დავიწყებასა ან შელახვაში და მოითხოვდნენ, რომ მთელი სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში მცხოვრებ სომხებისა საქართველოს სომხების ეროვნულ საბჭოს მეთვალყურეობასა და განგებაში გადასულიყო. უკანასკნელ ხანებში პრესა კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს.

„ჰორიზონი" (№ 211, ოქტ. 17) მთელ მოწინავე წერილს უძღვნის მას სათაურით: „სკოლების ნაციონალიზაცია". გაზეთი იგონებს სკოლების ნაციონალიზაციის ისტორიას თავიდან, როცა ამიერ-კავკასია ერთ მთელ პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის სამ ნაწილად დაყოფის შემდეგ განგრძობილი იყო უკვე დაწყებული საქმე გაზეთი არ ეხება იმას თუ როგორ გატარდა ეს ნაციონალიზაცია ადერბეიჯანსა და სომხეთში: იქ ამისათვის შესაფერი გარეშე პირობები არ იყოო.

„შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე რამდენადაც საქართველოს საზღვრებში მცხოვრებ სომხობას ეხება.

თავიდანვე ვთქვით რომ საქართველოს მთავრობა სკოლების გაეროვნების საკითხში განაგრძობდა ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ გაკვალულ გზით სვლას. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებით წელს, მაგალითად, ტფილისის გიმნაზიები განაწილებულია ეროვნებათა შორის. მაგრამ ჩვენს პრესასა და საზოგადოებაში სამართლიანი უკმაყოფილება ჩამოვარდა იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ანგარიშში მიღებული არ იყო სომეხ მოწაფეთა შედარებითი რიცხვი, როგორც სასკოლო შენობათა სამართლიანი განაწილების პრინციპი და სხვა უმნიშვნელო გარემოებად ვერ დავსახავთ იმ ფაქტსაც რომ სომხურ გიმნაზიებში, მხოლოდ ერთის გამონაკლისით, ხელმძღვანელ ზედამხედველებად არა სომხები არიან დანიშნული რაც, თავისთავად ცხადია ეწინააღმდეგება გაეროვნების პრინციპს. შემდეგ, ზოგიერთ გიმნაზიებში ჯერაც ვერ მოწესრიგებულა სწავლა, რადგან საბოლოოდ გამორკვეული არ არის თუ რომელ კლასამდე უნდა მოხდეს გაეროვნება, ხოლო ქართულ გიმნაზიებში წინადვე გადაწყვეტილი იყო ეს საკითხი. გარდა ამისა სხვა და სხვა მიზეზების გამო კლასებში მოწაფეთა რიცხვი ნაკლებია, კლასები სავსე არ არის: თავის დროზე არ იყო გამორკვეული მოწაფეთა მშობლების წინაშე ამ საკითხის შინაარსი. გიმნაზიების ძველი დახავსებული მოხელე და ბიუროკრატი მასწავლებლობაც უკმაყოფილო თავის ვიწრო ინტერესების შელახვით, რამოდენიმედ აფერხებს საქმის წარმატებას. ზოგიერთ სასკოლო შენობაში გაეროვნებულ კლასების გვერდით რუსული კლასებიც არის გახსნილი.

ამა და სხვა მიზეზებისა გამო მოწაფეების ერთ ნაწილს სასო წარეკვეთა გაეროვნებულ კლასებზე..

არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხი, რომელზედაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ.

სკოლების გაეროვნების ძირითადი დამახასიათებელი თვისება არის არა მხოლოდ გაკვეთილების გადაცემა დედაენის საშუალებით, არა მხოლოდ პროგრამის შეთანხმება ერის საჭიროებასთან, არამედ გაეროვნებულ სკოლების ხელმძღვანელობა ეროვნულ-კულტურული ორგანოების მიერ, სრული დამოუკიდებლობის საფუძველზედ.

ეხლა კი გაეროვნებული სკოლები არ ექვემდებარებიან ამ პრინციპს, რადგან ზედამხედველებს კი არ ირჩევენ როგორც შარშან იყო, არამედ ზევიდან ნიშნავენ როგორც ძველად იყო,

აი ეს მართვა-გამგეობის მოწყობის საკითხი არა ნაკლებ მნიშვნელოვანს და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს".

აქ ათავებს გაზეთი თავის საბრალმდებლო ოქმს განათლების სამინისტროზე და ანაზღეულად ბრალმდებელის როლიდან დამცველის როლში გადადის. ის განაგრძობს: „ჩვენ, რასაკვირველია, ყველა ამ საკითხებში ბრალს არ ვდებთ მთავრობას საერთოდ, ან სახალხო განათლების სამინისტროს კერძოდ... დამნაშავე ვართ ჩვენ, ჩვენი უორგანიზაციობა. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად ყველას მხრით შეწყნარებული იყო ის შეხედულება, რომ ჩვენი საგანმანათლებლო-საკულტურო საქმეების, მაშასადამე სასკოლო საქმეებისაც, უმაღლესი მართვა-გამგეობა და ხელმძღვანელობა საქართველოს სომხეთის ეროვნულ საბჭოს ხელში უნდა გადასულიყო, მაგრამ უკანასკნელ ხანებამდე მთელი თვის განმავლობაში გართული იყვნენ თავმჯდომარის საკითხით, ერთი თვე იმაზე ბჭობდნენ თუ ვინ, რომელი პარტიის წარმომადგენელი უნდა იყოს სასკოლო საქმის გამგე, და ვიდრე ისინი ამ საკითხებით იყვნენ გართული, დაიწყო კიდეც სამოსწავლო წელი და პირველხარისხოვან საკითხების მთელი რიგი გადაუწყვეტელი დარჩა.

აი თუ რატომ იყო სრულიად სამართლიანი სახალხო განათლების მინისტრის პასუხი სომხურ ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებისადმი: თქვენ დაიგვიანეთო, ხოლო ეს დაგვიანება შესაძლებელი და აუცილებელიც შეიქმნა სრულიად უპატივო მიზეზების გამო. .

მაგრამ ჩვენ ჯერ დღესაც ვერ ვხედავთ რომ სასურველი მიმართულებით სწარმოებდეს გარკვეული, დადებითი მუშაობა. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამ ფრიად ცხოველ საკითხის ირგვლივ სწორსა და ნათელ შეხედულებას, და შეურყეველ ნებას რომ მოვითხოვოთ და დავიცავთ ეროვნულ-კულტურული თვითმართველობის პრინციპები რისთვისაცაა არსებითად გაჩენილი საქართველოს სომხების ეროვნული საბჭო.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენსა და მთავრობას შორის ამ საკითხის შესახებ პრინციპული უთანხმოების ჩამოვარდნა შეუძლებელია, მაშასადამე, მით უფრო პირდაპირი და გაუხრელი უნდა იყოს ის გზა, რომელსაც უნდა დაადგნენ პასუხისმგებელი დაწესებულებანი და ორგანოები.

საქმე მხოლოდ იმაშია თუ რამდენად შეიგნებენ ისინი ამ პასუხის მგებლობას და მიხვდებიან საკითხის მთელს სერიოზულობას."

საბოლოო ანგარიშით ამ ვრცელ სტატიაში აშკარადაა წამოყენებული საკითხი საქართველოს სომხების ეროვნულ-კულტურულ ავტონომიაზე. გაზეთი მოუწოდებს საქ. სომხ. ეროვნ. საბჭოს თავს იდვას ინიციატივა და „მოითხოვოს" საქართველოს მთავრობისგან „ეროვნულ-კულტურულ თვითმართველობის საფუძვლების" უზრუნველყოფა. სკოლის საკითხი მხოლოდ საბაბად არის გამოყენებული ამ საკითხის აღსაძვრელად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არც ერთ ერს, რომელიც მის საზღვრებში ცხოვრობს და მომწიფებულია ეროვნულ-კულტურულ ავტონომიისათვის თანახმად საკუთარი თვითგამორკვევისა, უარს არ ეტყვის ამ ავტონომიის მინიჭებაზე. რესპუბლიკის მთავრობის დემოკრატიულ დეკლარაციაში ეს უკვე აღნიშნულია. მხოლოდ ჩვენ გვინდა, რომ ამ საკითხის წამოყენება საქართველოს მთავრობის წინაშე საქ. სომხ. ეროვნულ საბჭოზე უფრო საქართველოს პარლამენტის სომეხ დეპუტატებს შეჰფერის რომელნიც წარმომადგენელნი არიან საქართველოს სომხობის ინტერესებისა. გაზეთს შეეძლო მოკლედ და მარტივად ეთქვა რაც სურდა (ამისათვის მას პირს არავინ დაუხშავდა საქართვ. დემოკრატიულ რესპუბლიკაში) და არა დაეწერა საბრალმდებლო ოქმი საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროზე, რომლის გაბათილება პერმე თვითონვე დასჭირდა. გამოდის რომ არსებითად განათლების სამინისტროს არაფერი დაუშავებია სომხებისათვის, მხოლოდ თვითონ სომხებმა დროზე არ გაუწიეს მას დახმარება თავისავე სკოლების მოწყობის საქმეში, რაც მათ დიდ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს გაზეთის სამართლიანი შენიშვნით.

გაზეთი „მშაკი" (№№ 203, 204 და 209) აღნიშნავენ რომ მიმდინარე სამოსწავლო წელი არაჩვეულებრივ პირობებშია და მოსწავლეებს სითბოს, სინათლის, საკვების, ტანფეხის, სასწავლო ნივთების და საწერი მასალის სიძვირისა ან სრული უქონლობის გამო არ შეეძლებად შინ მაცადინობა და ნორმალური კურსის გავლა. ამისათვის გაზეთის აზრით საჭიროა რომ შემოღებულ იქმნეს განათლების სამინისტროს განკარგულებით სამოსწავლო წლის პროგრამა და ეს შემოკლებული პროგრამაც უმთავრესად კლასშივე ისწავლებოდეს, რომ შინ ბავშვები არ იყონ დატვირთულნი გაკვეთილებით და წერითი სამუშაოებით. რადგან ზემოაღნიშნულ მიზეზებისა გამო მათ საშუალება არ ექნებათ იმაცადინონ თავის ჯანმრთელობის უვნებლად. შეიძლება დღევანდელ პირობებში ამ მაცადინეობას მოჰყვეს მასსიური თვალით ავადმყოფობა (სინათლის უქონლობისა გამო) და სხვა მრავალი სენი სხეულის ცუდი კვების ნიადაგზე აღმოცენებული. პრაქტიკული წინადადება „მშაკისა" ამ საკითხის გამო: „რომელიმე ცენტრალურ კოლლექტიურ ორგანოს საშუალებით განათლების სამინისტროს შეუძლია სამოსწავლო პროგრამის ნაწილის შეზღუდვა-შემოკლება და მასწავლებლების დავალება რომ შინ სასწავლო გაკვეთილების და საშინაო წერითი სამუშაოების რაოდენობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი." („მშაკი", ოქტ. 15, № 209, ა. ნაზარეთიანის წერილი).

ჩვენის აზრით დღეს როცა მოწაფეები, სწავლის საქმის არევ-დარევის გამო, თითქმის სამი წლის განმავლობაში ნაზარმაცები და ცოდნით მეტად დაქვეითებულნი არიან, როცა მათ ჯერ კიდევ ვერ უძლევიათ დროისა და გარემოების მიერ შექმნილი არანორმალური პირობების ცუდი გავლენა და ხშირად არაფერს აკეთებენ გარეშე პირობებიც ხელს უწყობს. ამისთანა დროს მეტად სახიფათოა იმ ნაბიჯის გადადგმა რომელსაც მოითხოვს „მშაკი" სამინისტროსაგან; ეს იქნებოდა დაკანონება და გამართლება იმ ანორმალურ და სამწუხარო მდგომარეობისა რომელშიაც ჩავარდა სკოლა უკანასკნელ 3-4 წლის განმავლობაში.

რასაკვირველია ის რასაც ითხოვს „მშაკი" თავის თავად, ბუნებრივად ხდება. ცხადია რომ ნორმალური პროგრამების გავლა არ მოესწრება იმ მოზარდების მოწაფეებთან, როგორიც ეხლა გვყავს, ცხადია მასწავლებლებიც შედიან მოწაფეთა მდგომარეობაში, მაგრამ ცხადია ისიც, რომ თუ სამინისტრო რაიმე სავალდებულო მინიმუმი შემოიღო და განსაკუთრებით ის ჩააწვეთა ყურში ბავშვებს რომ მათ მაცადინობისაგან ათასი სნება და უბედურება მოელის და შინ ნაკლებად უნდა იმაცადინონ,—ეს ძალიან ცუდ ნაყოფს გამოიღებს: ბავშვები უკვე კანონის ძალით იზარმაცებენ. არა. სამინისტროს მოთხოვნილება დღევანდელ პირობებში უფრო მეტი უნდა იყოს, რომ მოსწავლეთა ცოდნის მეტად დაბალი დონე ოდნავ მაინც ავსწიოთ სასურველ მინიმუმამდე.

ომის დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი ოქტომბრის 30 ს, სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია ლისის დაბლობი, ლისის და შელდის შუა, ფამართან და ენგლფონტენთან მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ, ტურნეს განაპირა უბნებს და შელდის დაბლობის დაბებს ინგლისელები ესვრიან რამაც მშვიდობიან მცხოვრებთა შორის მრავალი იმსხვერპლა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. დილით ადრე მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა უაზის არხზე. საფრანგეთის ჯარმა ნიზი-ლე კონტის და ენის შუა, არტილერიის ძლიერი ცეცხლის შემდეგ და მრავალი ტანკის დახმარებით იერიში განაახლა რომელიც ჩვენმა ჯარმა მოიგერია. ფრანგებს გუშინ დიდი ზარალი მივაყენეთ. გაუნადგურეთ მრავალი ტანკი ვუზიერის ორივე მხარეზე და მდ ენის აღმოსავლეთით დროგამოშვებით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. გუშინდელი დღის განმავლობაში ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 27 ჰაეროპლანი და 6 ბალონი. ლეიტენანტ დორმა უკანასკნელ დღეებში 34-ჯერ გაიმარჯვა ჰაერში, ლეიტენანტ ფროლემგიელმა 30-ჯერ

ვენა ოქტ. 30. სამხედრო ცნობა იტალიის ფრონტი ტირესპოლის ფრონტზე უმნიშვნელო ბრძოლაა. ტრენტის და პიავის შუა მტრის ძლიერმა ძალამ იერიში მოიტანა აზოლონის და მონტეპეტრიკის წინააღმდეგ. ჩვენი ჯარის სიმამაცემ უნაყოფოდ ჩაუტარა მტერს ცდა ვენეციის 3 ველში ინგლისელები და იტალიელები წინ მიიწევენ. მონტელოს ჩრდილოეთით და სამხრეთით მათ შესძლეს პოზიციების გაფართოვება და წინდაწევა. თანახმად ჩვენი გარდაწყვეტილებისა [illegible] ხალხთა შორის ბრძოლის [illegible] ზავი ჩამოვაგდოთ, ჩვენი ჯარი იტალიის საზღვრებზე დაჭერილ ადგილებს სცლის.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. სერბიაში აღმოსავლეთის ფლანგზე მომქმედი ჩვენი სამხედრო ძალა გადავიდა დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე სუავესთან და დრინესთან უკანდახევა წესიერად მიმდინარეობს. მტერი ჩვენ არსად გვავიწროებს. ალბანეთში მომქმედ ჩვენ სამხედრო ძალას რამოდენიმეჯერ შეხვდა შეტაკება ბრზოსთან.

სტამბოლი, ოქტ. 30-ს ფრონტზე აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ბერლინი ოქტ. 30. საღამოს სამხედრო ცნობა დასავლეთის ფრონტზე ღირსაღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ზავის გარშემო

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ვენა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშმა მიმართა სტატსსეკრეტარს შემდეგი დეპეშით: როგორც კი ავიღე ხელში საგარეო საქმეთა სამინისტროს მართვა-გამგეობა ოქტ. 18 ნოტაზე ოფიციალური პასუხი გამოვგზავნე, საიდანაც თქვენ გაიგებთ, რომ ჩვენ ვღებულობთ იმ ძირითად დებულებებს, რომელიც შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა სხვა და სხვა დეკლარაციებში გამოაქვეყნა. სრულიად ვეთანხმებით რა ვილსონის ცდას ხალხთა ლიგის დაარსებაში და გვწამს რა, რომ მხოლოდ მას შეუძლია აგვაცდინოს ომი მომავალში. ჩვენ უკვე გადავდგით საჭირო ნაბიჯი, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის ხალხს შეუძლია მიეცეს თავისი მომავალი საკუთარ სურვილების თანახმად გადასჭრას. მას შემდეგ რაც ტახტზე ავიდა იმპერატორი კარლი ომის გათავების სურვილი დაიბადა, უფრო ძლიერად ვიდრე წარსულში იმპერატორსა და ხალხს სურს, რომ მომავალში დამყარდეს სიმშვიდე და ბედნიერება. ბატონო სტატს სეკრეტარო, მე მოგმართავთ თქვენ თხოვნით გვიშუამდგომლოთ პრეზიდენტის წინაშე, ჰუმანიზმის და ავსტრო ჰუნგრეთის ხალხთა სასარგებლოდ ჩამოაგდოს დროებით ზავი ყველა ფრონტზე და დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა ერთსა და იმავე დროს აცნობა ნოტის შინაარსი საფრანგეთის, ინგლისის იაპონიის და იტალიის მთავრობათ და სთხოვა თითონაც მიიღონ ეს პირობები და ვილსონის წინაშეც მხარი დაეჭიროს მას.

აუსიგში ბოჰემიის სახალხო საბჭოს კრებაზე განაცხადეს სურვილი გერმანელთა ბოგემია გერმანიის იმპერიას შეუერთდეს.

გერმანიის ნაციონალურ პარტიებმა გუშინწინდელ სხდომაზე აღშფოთება გამოსთქვეს ანდრაშის ვილსონისადმი საპასუხო ნოტის კილოს გამო, რადგან ის წინასწარ არ შეუთანხმდა არც გერმანიის მთავრობას და არც გერმანიის სახალხო კომიტეტში მომავალში მოითხოვენ, რომ გერმანიის ავსტრიას თვითგამორკვევის უფლება ექნეს და გატარდეს ცხოვრებაში გერმანიის იმპერიასთან შეთანხმება

ანდრაშის საპასუხო ნოტა განიხილეს ამორჩეულ დეპუტატთა პალატაში. გერმანიის საზოგადოებაში ნოტამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. საზოგადოება ნოტას დაჩქარებულად სთვლის, რადგან უკანასკნელ დღეებში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ გერმანიასთან შეთანხმებით მუშაობა უკანასკნელ დრომდე შესაძლებელი იყო

ლონდონი. ოქტ. 29. საგარეო სამინისტრომ მიიღო ავსტრო ჰუნგრეთის პასუხი ვილსონის ნოტაზე

უცხოეთი

ბუდაპეშტი. ოქტ. 29. ჰუნგრეთის მთავრობის განკარგულებით ფიუმე კროატებს გადასცეს. ქალაქის საბჭო დათხოვნილია. ყველა სამმართველოში შეჩერებულია მოქმედება. ფიუმეს ბედს საზავო კონფერენცია გადასწყვეტს.

პრაგა. ოქტ 29 ჩეხიის ნაციონალურ კომიტეტმა დაადგინა: ამიერიდან ყველა არსებული კანონი, ბრძანება, მართვა-გამგეობა და სამმართველონი უნდა დაექვემდებარონ ჩეხიის ნაციონალურ საბჭოს.

ახალი ამბავი

რუსების პროტესტი. რუსთა ეროვნულმა საბჭომ პროტესტით მიჰმართა საქართველოს პარლამენტს იმის შესახებ, რომ პარლამენტმა უკანონოდ სცნო რუსთა წარმომადგენლების არჩევნები. რუსთა საბჭო აღნიშნავს რომ რაკი პარლამენტმა კალუგინის და სმირნოვის მანდატები კომისიას გადასცა; ამით მან სცნო მათი წარმომადგენლობა და მათ უფლება ჰქონდათ პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობისაო.

სინოდის მოწოდება. რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა და პატრიარქმა გამოსცა მოწოდება, რომელიც ამ დღეებში მიიღო რუსთა ეროვნულმა საბჭომ მოწოდება ეხება რუსულ-ქართულ საეკლესიო ურთიერთობას და მოუწოდებს რუსის სასულიერო პირებს, მჭიდროდ შემოკრბენ ეკლესიების და მონასტრების გარშემო განმანათლებელთა და ქველმოქმედთა სახით და, თუ იქნება შემთხვევები საეკლესიო ქონების მისაკუთრებისა, განაცხადონ უფლება ამ ქონებათა რუსის ეკლესიის საკუთრებისათვის.

გორელ სომხების დეპეშა. მთავრობამ გორელ სომხებისაგან დეპეშა მიიღო, სადაც ისინი ჰგმობენ სომხის მთავრობის პოლიტიკას, რომელმაც მშვიდობიან გზას გადაუხვია და იარაღით მოიწადინა საქართველოსთან სადავო საკითხის გადაჭრა. დეპეშას ხელს აწერს 170 კაცი.

ამხ ლალიაშვილის გარდაცვალება. ოქტ. 20. დილის 6 საათზე ტფილისში არამიანცის სახელობის საავადმყოფოში გარდაიცვალა ჩვენი პარტიული ამხანაგი და თავდადებული ჯარისკაცი კალისტრატე ლალიაშვილი. განსვენებული გუშინ საღამოს მატარებლით წაასვენეს იმერეთში თავის სამშობლო სოფ. ოფიშკვეთში დასაკრძალავად.

კონცერტი. ქართული სამუსიკო საზოგადოება, ქ. სამ, საზ. გამგობას მოუწვევია როგორც ჩვენი მთავრობის, აგრეთვე გერმანიის წარმომადგენლები პარასკევს ნოემბრის 1 თავის კვარტეტ-კონცერტზე: კონცერტის პროგრამა: ბეტჰოვენ-კვარტეტი ე-მოლ. ოპ. 59: შუმან-კვინტეტი როიალით ეს-დურ, ოპ. 44 ნ. ნიკოლაევის მონაწილეობით და შუბერტ-კვარტეტი დ-მოლ; დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანელებს შორის, რის გამოც ბილეთები სწრაფად ბლომად იყიდება.

კრება. კვირას, ნოემბრის 10 (ახალი სტილით) დღის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში სასახლის ქუჩა დანიშნულია წ.-კ. გ. სან. რწმუნებულთა საზოგადო მორიგი კრება. განსახილველი საგნები: 1) 1916—1917 წლების საზოგ. გამგეობის მოქმედების ანგარიში. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების გამო 3) გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ. 4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 5) გამგობის და სარევიზიო კომისიის და სექციების წევრთა არჩევნები. რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, რომ ისინი ნამდვილად არჩეულნი არიან განყოფილებათა საზოგადო კრებაზე.

გერმანულ მუსიკის კონცერტი—**კვარტეტი** გაიმართება დღეს, ნოემბრის 1 ს კონსერვატორიის დარბაზში. შესრულებულ იქნება ბეთოჰვენის, შუმანის და შუბერტის ნაწარმოებნი.

სახელმწიფო ენა. ოქტომბრის 29-ს საქართველოს რესპუბლიკის ყველა სამინისტროს დირექტორთა თათბირზე დადგენილ იქმნა საქართველოს ყველა დაწესებულებაში ამიერიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა სახელმწიფო ენაზე (ქართულ ენაზე) სწარმოებდეს.

„თეატრი და ცხოვრება“. რედაქციამ მიიღო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს უკანასკნელი ნომერი, სადაც მოთავსებულია სურათები ქართვ. და უცხოელ მოღვაწეებისა და მწერლებისა და სხვა მასალა.

შაქარი. მთავრობამ დაავალა გარეშე საქმეთა მინისტრს დასდოს უკრაინის მთავრობის წარმომადგენელთან ხელშეკრულება უკრაინიდან საქართველოში შაქრის შემოტანის შესახებ. განზრახულია შაქარზე გამოცხადდეს სახელმწიფო მონოპოლია. შაქარზე დამატებითი გადასახადის დაწესებით ნავარაუდევია ამ წელს 2400000 მანეთი შემოსავალი.

სპირტი. მთავრობამ პარლამენტში შეიტანა სპირტზე აქციზის მომატების კანონი. აღნიშნულ მომატებულ სააქციზო გადასახადის წლიურად 1000000 მან. ზედმეტი შემოსავალია ნავარაუდევი.

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი მეუღლე მარიამ რევაზის ასული, შვილები: ლოლა, სონია და რევაზ ბახუტაშვილები, სიდედრი ოლღა ივანეს ასული და ცოლის და ნინო რევაზის ასული მაღალაშვილები და ცოლის ძმები ჯავახიშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოქტომბრის 28 ს,

გიორგი ლუარსაბის ძე ბახუტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს არკადის შესახვევი № 5. ცხედარს გამოასვენებენ შაბათს, ნოემბრის 2-ს. გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2275

რესტორანში

მეტი სანთლები. . გააჩაღეთ მკრთალი დარბაზი,
თორემ ვერ იტევს ნაღველს გული ამ სიბნელეში,
მოიპატიჟეთ მომღერლები, იხმეთ ჯამბაზი,
მასხრულ დიდებით გავასვენოთ ეს ღამის ლეში..
და აქ, მწვანეში, გამიშალეთ მეფური სუფრა,
რომ სიკეკლუცით გადებახჩოს ჩრდილთა კარავი,
ჰეი, მანდ ვინა ხართ!.. ხედავთ ლხინი ვით შეიქუფრა,
მოართვით სტუმრებს ოქროს თასით ამაზე უფრო
სურნელი ღვინო, ღალატივით ტკბილ შამპანი..,
დღეს მინდა დავთვრე, დავთვრე ისე, რომ ჩვენში ჩვენათ
უკმეხობამაც სათამაშო ყანწი მიკურთხოს,
და რომ სიცოცხლე ხელმეორედ არ შევაჩვენო,
დავიხშობ გულსაც, შიგ არავინ არ ჩამაფურთხოს...
მოიტათ ღვინო, ღვინო ჩქარა, რომ კაეშანი,
შეშლილ ფერებად ავაგველო განცხრომის ხანზე,
ახადეთ ჰერი, ააწვიმეთ ირგვლივ შროშანი,
დაე ეს ღამეც ჯვარზე ნახონ მზის მოედანზე...

დ. ცვარ-ნამი.

სარეკომენდაციო კომისია. ოქტომბრის 28-ის კრებაზე ქალაქის საბჭომ აირჩია სარეკომენდაციო კომისია მომრიგებელ და საპატიო მოსამართლეთა ასარჩევად. კომისიაში არჩეულნი არიან: ჯიბლაძე, ბროდსკი, კახიანი, ტერ-გევონდიანი, მახტიოზოვი, ი. ბარათაშვილი, ხუმარიანი, ამირალოვა, თარხანოვი, თუმანოვი, გოთუა, ვეშაპელი, გრუზენბერგი, გეფშტეინი და მესხი.

საქალაქო არჩევნები. ოქტომბრის 28-ს კრებაზე ქალაქის საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ტფილისის საქალაქო არჩევნებისთვის წინასწარი მუშაობა და სამზადისი. კომისიაში არჩეული არიან: სოც. დემოკრატებისაგან: რუსია, კახიანი, ათოევი და ხახანაშვილი: სოც. რევოლიუციონერებიდან: რებრუხი, კალიუჟნი და ჩემოდანოვი, სოციალისტ ფედერალისტებისაგან ქრისტ. რაჭველიშვილი, დაშნაკციუტუნისაგან იალჯიანი, აბაზიანი და სოლომონოვი და დამოუკიდებელ ნ. დ ვეშაპელი, ნაც დემ. გოთუა, ებრაელებისაგან გოთუა და მუსულმანებისაგან შეხიევი.

ტელეგრაფისტების გაჭირვება. ხაშურის ტელეგრაფისტებმა გზათა მინისტრს შემდეგი დეპეშა გამოუგზავნეს: „ვშიმშილობთ, ორი თვეა რაც ჯამაგირი არ მიგვიღია. ამ სიძვირის დროს საშუალება არა გვაქვს ცხოვრებისა. გთხოვთ დაუყოვნებლივ გასცეთ განკარგულება, რომ ჯამაგირი მოგვცენ; წინააღმდეგ შემთხვევაში მუშაობის გაგრძელება არ შეგვიძლიან“.

დაპატიმრება. მილიციის უფროსის განკარგულებით სამი თვით დაპატიმრება მიესაჯათ: აკაკი ავალიანს სიმთვრალის დროს ქუჩაში სროლისათვის, გიორგი ეგოროვს, გიორგი ლალაიანცს, გ. ავთანდილოვს, პ. დობრინინს, ნერს. ეგანროვს, გალუსტ ისკანდაროვს და ნ. ივანოვს როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირთ.

დაჯარიმება. მილიციის უფროსმა 2000 მანეთით დააჯარიმა სახლის პატრონი ბუღდან არზუმანოვი—ეზოს ანტისანიტარულ მდგომარეობისათვის, მიხ. სარქისოვი—კომბოსტოს ნიხრ-ზევით გაყიდვისათვის.

ღვინის მოსავალი კახეთში. წელს კახეთში ღვინის მოსავალი საშუალოა. გლეხები ღვინოს ნაკლებად ჰყიდიან ბაზარზე შედარებით გაჯის ღვინო უფრო ძვირად იყიდება.

რკინის გზის მოსამსახურენი. სოჭიდან გზათა მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: სამი თვეა, რაც სოჭის რკინის გზის მოსამსახურეებს ჯამაგირი არ მიუღიათ. მოსალოდნელ ექსცესების გამო გზათა სამინისტროს რწმუნებულს და გენერალ გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნიათ რკინის გზის ქონების ერთი ნაწილი გაიყიდოს მოსამსახურეთა დასაკმაყოფილებლად.

ქართული ჟურნალი გერმანიაში. ბერლინელ გამომცემლობას „დერ ნოიე ორიენტს“ განზრახული აქვს გამოსცეს ქართული სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნილი ‚ევროპის მოამბე“ ჟურნალის რედაქტორებად მიწვეულ არიან: დოქტორ რიჰარდ მეკელაინ, კ. გამსახურდია და გ. კერესელიძე.

პირველ ნომერის გამოცემას ოქტომბერში აპირებდნენ. ჯერ-ჯერობით თანამშრომლობა აღუთქვეს ჟურნალს: პროფ. რილმა, ერდმანმა, ჰ-ტშმა, (ბერლ. უნივ. პროფესორებია) მოწვეულ იქნებიან საუკეთესო გერმანელი კრიტიკოსები, პოეტები და რომანისტები საზღვარ გარედ მყოფ ქართველ მწერლებში ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ნ. ნიკოლაძე, მიხაკო წერეთელი, ზ. ავალიშვილი, კ. გამსახურდია, გიორგი კერესელიძე.

ქართული ლიტერატურა გერმანულად. ბერლინში შესდგა გერმანელ ახალგაზდა მწერალთა ჯგუფი ბერლინის უნივერსიტეტის ქართული ენის ლექტორის ბ. რიჰარდ მეკელაინის თაოსნობით, ამ ჯგუფს მიზნად აქვს დასახული ქართველ მწერალთა ნაწარმოებთა თარგმნა გერმანულად.

ჯერ-ჯერობით გადაითარგმნა ვაჟა ფშაველას ლექსები და კ. გამსახურდიას შემდეგი თხზულებანი: „ბერლინი“. სონეტი გრაფ ცეპელინს“, „სარკმელის ყვავილები“, „ნოემბრის ქარი „მიზანტროპი“, „პოეტი და მისი აჩრდილი“.

ბატონი მეკელაინი სთხოვს ქართველ მწერლებს გამოუგზავნონ ყოველნაირი ნაწარმოებნი.

ჯერ ჯერობით განზრახულია ქართველ მწერალთა ლირიკის კრებულის გამოცემა. ნათარგმნი ლექსები დაიბეჭდება გამოცემამდის გერმანულ სალიტერატურო ჟურნალებში, რათა მკითხველთა ფართო წრეს გააცნონ ქართველი მწერლები. შემდეგ გამოიცემა ცალკე კრებული.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნაძალადევში. პარასკევს ნოემბრის 1-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ნაძალადევში მცხოვრებ ამხ კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შალვა ნუცუბიძე.

—

მოწაფეთა კრება კვირას, ნოემბრის 4-ს დილის 10 საათზე პარტიულ ბიუროში დანიშნულია ტფილისის ყველა სასწავლებლის ს. ფ მოწაფეთა საზოგადო კრება ამხ. ქრის. რაჭველიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: მომენტი და ჩვენი ახალგაზრდობა. მოხსენების შემდეგ განსახილველია ფრიად სასწრაფო და სერიოზული საკითხები.

—

რკინისგზელების კრება შაბათს, ნოემბრის 2 საღამოს 7 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება ს. ხაზინო რკინის გზის სოც.-ფედ. მოსამსახურეთა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

—

იარაღის ნებართვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მებრძოლთა რაზმის საბჭო აცხადებს თავისი რაზმელთა საყურადღებოდ, რომ იარაღის ტარების მოწმობები მიცემული საბჭოს მიერ ოქტომბრის 3-დის გაუქმებულია.

მიწათმოქმედების სამინისტროში

მიწათმოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 20 ოქტომბრამდე მიმღებ კომისიებს ფონდში მიუღიათ:

1. ტფილისის მაზრაში 52554 დეს. 166 კ. ს. მიწა.
2. გორის მაზრაში 35939 დეს. 1627 კ. ს. მიწა.
3. დუშეთის მაზრაში 12803 დეს. 257 კ. ს. მიწა
4. თიონეთის მაზრაში 12218 დეს 1854 კ. ს. მიწა.
5. სიღნაღის მაზრაში 16247 დეს. 647 კ. ს. მიწა.
6. თელავის მაზრა 21513 დეს.
7. ბორჩალოს მაზრაში 14585 დეს. 081 კ. ს. მიწა.

სულ ტფილისის გუბერნიაში მიღებულია ფონდში 168852 დეს. 624 კ. ს. მიწა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათ მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების ცნობით მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე მიწის ფონდში მიღებული ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში:

1. ქუთაისის მაზრაში 5565 დესეტინა 2387 კვ. საჟ.
2. შორაპნის მაზრაში 5155 დესეტინა 2069 კვ. საჟ.
3. რაჭის მაზრაში 35 დესეტინა 2180 კვ საჟ.
4. ოზურგეთის მაზრაში 15465 დეს 25 კვ. საჟ
5. ზუგდიდის მაზრაში 1833 დეს. 1630 კვ. საჟ.
6. სენაკის მაზრაში 25208 დესეტინა 453 კვ საჟ.

სულ ქუთაისის გუბერნიაში 53264 დეს. 1544 კვ საჟ.

იუსტიციის სამინისტროში

კვლევა-ძიების ქართულად წარმოება.

იუსტიციის მინისტრმა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების გაცემა იმის შესახებ, რომ მილიციის მოხელეებმა ქართულად აწარმოვონ კვლევა-ძიება, ვინაიდან უკანასკნელი მჭიდროდ დაკავშირებულია საქმის წინასწარ გამოძიებასთან, რის შესახებ უკვე განკარგულება გაიცა გამომძიებელთადმი, რომ ქართულად სწარმოებდეს.

სასამართლოს უწყების კანცელარიების გაქართულება.

ტფილისის სასამართლო პალატის უფროსს თავმჯდომარეს და ბრალმდებელს წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ განკარგულება მოახდინონ, რათა ყველა მათ ხელქვეით დაწესებულებათათვის საჭირო ბლანკები, ფორმები, წიგნები და სხვა ამიერიდან მხოლოდ ქართულად იბეჭდებოდეს.

საგანგებო სასამართლოები.

ტფილისის საგანგებო სასამართლოს სხდომები ამ დღეებში დაიწყება. პირველად გაირჩევა, საქმე ოსიპ სარქისოვასა. რომელსაც ბრალდება მამედ იზმაილოვის გაძარცვა. დამნაშავეს ბრალდების ოქმი უკვე ჩაბარდა.

საქართველოს იურიდიული საზოგადოების წესდება.

დამტკიცდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სარეგისტრაციო განყოფილებამ, საზოგადოების დროებითს გამგეობას შეადგენენ: დ. კვირკველია (თავმჯდომარე), გ. ჩაჩიბაია (თავმჯდომარის ამხანაგი), გ. ჟორდანია (მდივანი. ი. ყიფშიძე, ა. ბებუთიშვილი, ს. ჩხეიძე და ა ახნაზაროვი (ხაზინადარი).

სერგიევსკის საქმე

ნოემბრის 14-ს ტფილისის სასამართლო პალატაში ირჩევა ცნობილი საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის ყოფილ თანაშემწის სერგიევსკისა, რომელსაც ბრალდება ქრთამის აღება. სხვა მოწმეებთან ერთად დაბარებულია იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

—

ბრძანება იუსტიციის მინისტრისა.

რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებათ.

სასამართლოში სახელმწიფო ენის შემოღების შესახებ.

ვინაიდან საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ქართული ენა სახელმწიფო ენად იქმნა გამოცხადებული, წინადადებას ვაძლევ რესპუბლიკის სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებას, რათა ქართულად დაწერილ ყოველ ქაღალდის მიღება სავალდებულო იყოს მათთვის.

ამასთანავე ვავალებ სასამართლო უწყების დაწესებულებათა უფროსებს, რათა, საცა შესაძლებელია, საქმის წარმოება დაუყონებლივ ქართულად დაიწყონ და ყოველ შემთხვევაში დღეიდანვე შეუდგნენ სამზადისს და თადარიგს იმისთვის, რომ მომავალ 1919 წლის იანვრის 1-დან ყოველი საქმე, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა, აღნიშნულ რიცხვის შემდეგ დაწყებული, სწარმოებდეს მხოლოდ ქართულად. ხსენებულ რიცხვის შემდეგ რუსულად იწარმოება მხოლოდ 1918 წლის გასულამდე დაწყებული საქმეები მათ დამთავრებამდე.

ბრძანება ესე არ ეხება 1918 წ. სექტემბრის 24-ის კანონის ძალით არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთ, რომელთაც ხსენებულ კანონის მიერვე დაკალებული აქვთ საქმის სახელმწიფო ენაზე წარმოება დღიდან თანამდებობის მიღებისა.

ამა ბრძანების სათანადო აღსრულებს ევალებათ ყველა დაწესებულებათა უფროსებს.

იუსტიციის მინისტრი **შ. ალექსი-მესხიშვილი.**

პარლამენტის გარშემო

დღევანდელი სხდომის წესრიგი:

1) გაგრძელება მსჯელობისა, დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შესახებ.

მომხსენებელია ა. ლომთათიძე.

2) კანონ-პროექტი საბეგო დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.

მომხს. დ. შარაშიძე.

3) კანონ-პროექტი გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

მომხს დ. ონიაშვილი.

4) კანონ-პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შედგენის შესახებ

მომხს. დ. თოფურიძე.

5) დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვა მთავრობისა და სახელმწიფო კანტროლიორისადმი 30 მილიონ მან. სალიკვიდაციო ფონდის შესახებ.

6) პარლამენტის წევრის ა ახმეტელის მთავრობისადმი შეკითხვა ტფილისში უცხო სახელმწიფოს შეიარაღებულ რაზმის არსებობის შესახებ.

7) პარლამენტის წევრთა—ნიკ. თარხანოვის და ლ თუმანოვის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრებისადმი შეკითხვა—სასამართლოს განუსჯელად პოლიტიკურ პატიმართა: ბუდუ მდივანისა და სხვათა სატუსაღოში უბრალოდ მწყვდევის შესახებ.

8) პარლამენტის წევრის დავითხანოვის შეკითხვა შინაგან და სამხედრო მინისტრებისადმი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოთა გამოქვეყნების საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

სხდომა დღის 12 საათზე დაიწყება.

—

გუშინდელი სხდომა. პარლამენტის გუშინდელი სხდომა, რომელსაც უნდა განეხილა დამფუძნებელ კრების საარჩევნო კანონი, ქვორუმის გამოუცხადებლობის გამო ვერ შესდგა.

—

ბერძნების წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში. ამიერკავკასიის ელლინთა ეროვნულმა საბჭომ აცნობა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ ბერძენთა წარმომადგენლად საქართველოს პარლამენტში არჩეულ იქმნა ელლინთა ეროვნულ საბჭოს წევრი [illegible] დუროვი

საპარლამენტო კომისიებში

იურიდიული კომისია.

განსახილველად შეტანილია შემდეგი კანონ-პროექტები.

იუსტიციის სამინისტროსაგან: 1. დებულება საქართველოს ნაფიც მსაჯულ-

თა სასამართლოსი, 2. კანონ-პროექტი ბათომის, ახალქალაქის, ახალციხის და ზაქათლის სამომრიგებლო ნაწილთა და ლორის სამომრიგებლო უბნის გაუქმების შესახებ.

მიწათმოქმედების სამინისტროსაგან.

1. კანონ-პროექტი ტფილისის კერძო კულტურულსატექნიკო სასწავლებლის სახელმწიფო სასწავლებლად გამოცხადების შესახებ.

სახელმწიფო კონტროლიორისაგან

კანონ-პროექტები საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის შესახებ.

გზათა კომისია.

კანონ-პროექტი ტფილის - კავკავის ელექტრონის რკინის გზის გაყვანის შესახებ.

სამხედრო კომისია.

სამხედრო სამინისტროსაგან კანონ-პროექტი საგანგებო სამხედრო სასამართლოს შემოღებისა.

სომეხთა თავდასხმა ბორჩალოში

(შემდეგი *)

25 ოქტომბერს სად. აირუმის ახლო სოფელ შენიხთან რომ ეს უსიამოვნება და იარაღით გვერდიდან შემოტევა ჩვენებს მოუწყვეს სომხებმა, ამავე დღეს, დილით 12 საათზე, მდ. დებედა-ჩაის გამოღმა კამენკას აქეთ ცატერნის ნაწილში აი რა მუხანათური თავდასხმა გაუკეთეს საგუბერნიო ბატალიონის როტის უფროს ინასარიძეს: მიუხედავად იმისა რომ სომხებმა წათერნი დაიკავეს ჩვენებმა თუმცა ძლიერ გამწარებულებმა, ძალდობით არ უპასუხეს, რადგანაც უცდიდნენ მშვიდობიანად საქმის გათავებას, დაიკავეს ერთი ხაზი, ორივ მხრივ ტყვიის მფრქვეველები დააწყვეს, სადარაჯოები გაამაგრეს და მშვიდობიანად არასფრის მოლოდინში, სადილის შეემზადნენ. ჩვენების სადგომ ნაწილში სამი შეიარაღებული კაცი გამოჩნდა და სამივენი დააპატიმრეს. როცა ვინაობა გამოიკითხის მათ განაცხადეს ჩვენ ამ სოფლის მილიციონერები ვართ და გამოველით წესიერებისათვისო. უცნობებს არავითარი საბუთი განცხადებულის დამამტკიცებელი არ აღმოაჩნდათ და ამიტომ მათ იარაღი აჰყარეს. უეცრად ჩვენებს აუტეხეს საშინელი სროლა. ჩვენმა რაზმა ამ მოულოდნელობით განცვიფრებულმა სადილი მიატოვა, გაიშალა საწინააღმდეგოდ და შეუტია მუხანათებს. სროლამ საათნახევარი გასტანა. ბ-ნ ინასარიძის როტამ ნაწილი თავხედურად თავდამცემლებისა განფანტა და მეორე ნაწილი ცხენოსნებისა სოფლის წისქვილში მოიმწყვდია, მაგრამ მოწინააღმდეგებმა მალე თავს უშველეს და სრულიად განადგურებას გადაურჩნენ ინასარიძის ასეულს დაუჭრეს სამი ჯარის კაცი, მათგან მიხეილ შათაშვილი, ხოლო დანარჩენების ვინაობა ვერ გავიგეთ სომეხთაგან სამი მოჰკლეს ჩვენებმა და რამდენიმე დაჭრეს. ჩვენი დაჭრილები ბაქან ქობერიდან სანაინში ამოიყვანეს. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ყოფილ შემთხვევისათვის ინასარიძეს საჭირო ძალები მაშველა.

ასეთი ფაქტების შემდეგ ჩვენის ძალების სარდალი ბ. წულუკიძე და მისი თანამშრომელი პოლკოვნიკი ჩხეიძე და სხვ. დარწმუნდნენ რომ სომხები სახუმაროს არას გვიმზადებდნენ და კიდევ მეტის სიფრთხილით სხვა და სხვა კუთხეებში მზვერავები დაიგზავნეს გამოსარკვევად, თუ რა ძალებით და რა მიმართულებით განაგრძობდნენ იგინი წინსვლას. სოფლებში მიმოვლით სარწმუნო ხდებოდა რომ აღარსად ახალგაზრდობა არა სჩანდა. ირკვეოდა რომ სოფლებში ბრძოლისათვის გამოსადეგი ელემენტები მოეკრიბათ. გადმოგვცეს რომ სომხებისაგან ბევრი ახალგაზრდობა გაიგზავნა შულავერში, ჯალალ-ოღლში, ბოლნის ხაჩინში, გერგერში და სხვა მოზრდილ სოფლებში, რომ აქ დარაზმულებს სათანადო დახმარება გაეწიათ მომდინარე სომეხთა სამხედრო ძალებისათვის. არ ვიცით რამდენად მართალია მაგრამ გადმოგვცეს ისიც რომ ჩვენის მთავრობის მიერ გამოცხადებული მობილიზაცია სრულიად გააბათილეს ლორის ნაწილისა და ზოგ სხვა სოფლის სომხობამ, მაშინ როდესაც დაშნაკცაკანების მთავრობამ ეს ჰაიკანელების რესპუბლიკისათვის გამოიყენესო.

სადგურ აირუმის მიდამოების მცველ რაზმის უფროს კაპიტანს ბ-ნს დიდებულიძეს ამ გვარივე შეტაკება ჰქონდა აირუმის გასწვრივ ყაზახის მაზრისაკენ გორებზე, სადაც გაუგებარ მიზნების მისაღწევად სომხის რაზმები გადმოსულიყვნენ, ისე როგორც ეს მოიმოქმედეს სოფ. შენიხში და ბრძოლითაც შეხვდნენ ბ ნს გოგუაძეს. ყოველივე ზემოდ მოხსენებულ ჩვენებისათვის დიდად გამაგრაზებელ ფაქტებს ოქტომბრის 26 ისიც დაემატა, როგორც მოკლედ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ქარინჯის გადმოლახვის შემდეგ ოფიცრის შანიძის ასეულის მცირე რაზმს ექვსი კაცისაგან შემდგარს ჩაუსაფრდნენ და ტყვიის მფრქვეველითა და თოფებით ექვსივე დაატყვევეს. ზემოდ აღწერილმა ქურდულად თავდასხმის ამბებმა მთელი ჩვენი სამხედრო ძალები უკიდურესობამდე აღაშფოთა. ჩვენი ჯარის ამ ხანში მდგომარეობა სრულიად შესადარებელია იმ ბედაურის მდგომარეობასთან, რომელსაც გამოცდილი მხედარი ლაგამით მაღლა თავს უჭერს, მაშინ როდესაც მას მთელის ძარღვების გამამწვავებელ დეზებს ფერდებში სცემენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენის ჯარის უფროსებს სიტყვა მისცეს, რომ იგინი ქობერის იქით ხიდს არ გადმოვიდნენ, მაინც გასტეხეს მხედრის სიტყვა და ოქტომბ. 25 ხიდზე გადმოვიდა სომეხთა ოფიცერი ჩვენი დარაჯები ტყვედ გამოაცხადა და უბრძანა იარაღი აეყარათ. ჩვენებმა თოფები მოიმარჯვეს და ოფიცერს და მის რაზმს შესძახეს: გაეთრიეთ იქვე, საიდანაც მობრძანდით, თორემ გიჩვენებთ, დატყვევება როგორ უნდაო, სომხები კუდ ამოძუებულნი გაბრუნდნენ თავიანთ სადარაჯოებისაკენ. განა ამაზე მეტი მოთმენა, ამაზე მეტი შეურაცხყოფის მიყენება შეიძლება? ჩვენებს შეეძლოთ მათი სინსილაც კი გაეწყოთ, მაგრამ მათ სიდინჯე არ დაჰკარგეს, ერთი ტყვიაც კი არ გაისროლეს, რადგანაც უფროსის ოფიცერ კორძაიას განმარტებით იცოდნენ, რომ ვიდრე ჩვენი მთავრობა არ იტყოდა მათ ერთი წვეთი სისხლიც არ უნდა დაექციათ.

სომეხთა მხრივ ჩვენის ჯარის დიდად მაღელვებელ მდგომარეობამ სარდალი გიორგი წულუკიძე აიძულა მთავრობისათვის შეეტყობინებინა ეს გარემოება.

სადგურ აირუმში ოქტომბრის 26-ს, სამი საეჭვო კაცი დააპატიმრა კაპიტან დიდებულიძის რაზმა და სად სანაინში სარდალს გ. წულუკიძეს გამოუგზავნა მკითხველებს ეხსომებათ რომ აირუმი სანაინიდან მეოთხე სადგურია აქეთ ჩვენსკენ და აქედან გადამავალი საურმე გზა დილიჯან-ერევნის გზატკეცილს უახლოვდება. აი იმ ნაწილში შეტაკებებისა და ამ საეჭვო პირების დაპატიმრების შემდეგ ცხადი ხდება, რომ სომხები ყაზახის მარიდან გვერდით რაღაც არა სასიამოვნო ამბავს გვიწყობდნენ. დაპატიმრებულთაგან აღმოჩნდა ერთი პორუჩიკი, გვარად ისაგულოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ჯიბეში ფულად 9000 მან. დაპატიმრების დროს ეს ოფიცერი აირუმიდან ფეხით სადღაც მიდიოდა თურმე როცა საქმის გამოძიების დროს შეეკითხნენ მან განაცხადა: ყაზახიდან ტფილისში მივდივარ და ეს ფული თან მიმაქვს საკანცელარიო ნივთების შესაძენადო. ყაზახიდან ტფილისში მიმავალი უსათუოდ აქსტაფაში სულ რამდენიმე ვერსის მანძილზე გადის და რკინის გზით მცირე ხნის განმავლობაში ტფილისში ამოყოფს თავს. აფიცერი ისაგულოვი კი, როგორც იცხადებს, ყაზახიდან ბრუნდება უკან ორმოც ვერსის მეტის მანძილით იშორებს გზას, ჩადის სადგურ აირუმში, აქაც მატარებელს არ უცდის და თითქმის ტფილისამდე ოთხმოცი ვერსი უნდა გამოიაროს ფეხით. ყოველივე ეს დიდად საეჭვო ჩვენება აღმოჩნდა და როდესაც მას საპატიმროში მიაბრძანებდნენ მან განაცხადა სადგურზე თქვენთან თავისუფლად დამტოვეთ მე არსად წავალო. იციან რაღა ქართველთა გულუბრყვილობა. მეორე დაპატიმრებულს გვარად დავიდოვს აღმოაჩნდა 130 პატრონა. იგი დილიჯნის გზით სასომხეთში მიემგზავრებოდა. უფრო საეჭვო აღმოჩნდა სტუდენტი არუთინსკი, რომელიც გლეხის ტყაპუჭა ქალამნებში გამოწყობილი სადღაც ალბად საპროპაგანდოდ ბორჩალოს მაზრაში დაბრძანდებოდა. სულ სანაინში თავი მოუყარეს 6-მდე ასეთ საეჭვო პირებს. ერთმა მათგანმა შერჩეული დროც იხელთა, გამომტვრია დროებით საპატიმროს ფანჯარა, გადახტა და მიიმალა. ამ გარემოებამ იძულებულ ჰყო ჩვენები საქმეს მეტის სისასტიკით მოპყრობოდნენ.

ყოველივე ზემოდ აღწერილ ფაქტების გარდა ჩვენი ჯარისათვის კიდევ უფრო გამამწარებელი და აღმაშფოთებელი იყო შემდეგი გარემოება: სარდლის გიორგი წულუკიძის განკარგულებით პოლკოვნიკ ჩხეიძეს დაევალა შეჰკითხებოდა სომეხთა ჯარის უფროსს რას ნიშნავდა საზღვრების ასე გადმოლახვა, 45 ვერსის მანძილზე გვერდიდან ყაზახის მაზრის მხრივ სოფელ შენიხში ჩამოსვლა, ორი სამი კაცის უმიზეზოდ დაჭრა. ქარინჯისა, წათერისა და ბაქან ქობერის დაჭერა ექვსი კაცის უმიზეზოდ დაპატიმრება, ტყვიისმფრქვეველის და ექვსი თოფის წართმევა და სხვა ამგვარი მოქმედებანი. ასრულებენ თუ არა სომხები თავიანთ სიტყვას და ჩერდებიან თუ არა იმ ხაზზე, რომლებიც სომხებს ეკავათ?

პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ოქტომბრის 26 ინახულა სომხის ნაწილის ოფიცერი კამენკის ხიდზე ტომით რუსი გორბაჩოვი (ვლად. გოგუაძესაგან ნახული ოფიცერი უკვე მოეხსნათ ხიდიდან.) ყოველივე მისთვის დაებარებინა და მიეცა ვადა პასუხისათვის. დადებული ვადა გავიდა და არავითარი პასუხი მოდიოდა. საპასუხო ვადის გასვლას კიდევ მთელი დღე და ღამეც მიემატა, მაგრამ ჩვენები ვერავითარს პასუხს ვერ ღირსნენ მაშინ, როდესაც მოქმედება სომეხთა ნაწილებისა გრძელდებოდა. მათი მზვერავები და სადარაჯოები ისე წინ წამოსწიეს, რომ ჩვენი შტაბის სადგომი სად. სანაინი იქით რჩებოდა და ტომარასავით ხევში იმწყვდეოდა.

ასეთმა მდგომარეობამ ჩვენების მოთმინების ფიალა აავსო და ოქტომბრის 26 პოლკოვნიკი წავიდა ადგილობრივ საქმეთა შესასწავლად. უკან პოლკოვნიკ. ჩხეიძე ღამის 10 საათზე დაბრუნდა და სამხედრო თათბირი გაიმართა სარდლის გ. წულუკიძის თავმჯდომარეობით. თათბირმა გასტანა ნაშუაღამევის 1 ნახევარ საათამდე. ჩვენმა ჯარმა სამი მიმართულება ამოირჩია: ერთი ნაწილი წათერისა, მეორე ქარინჯისა, ხოლო შუაზე მდინარე დებედა-ჩაის გასწვრივ ხევში და ოქტომბრის 27 დილის 4 საათზე ჩვენები შეტევაზე გადავიდნენ. პირველი შეტაკება მოხდა, როგორც იყო ჩვენს გაზეთში აღნიშნული, ბაქან ქობერს იქით დებედ-ჩაის ხიდზე მე 117 ვერსზე.

ქაქუჩელა.

---

*) იხ. „სახ. საქმე“ № 371.

ფ.-ტ. პირველი ყრილობა

გაეროვნების შესახებ შემდეგი რეზოლუცია მიიღეს:

მოისმინა რა კონფერენციამ მომხსენებლის და სხვა ორატორების აზრი დაწესებულების გაეროვნების შესახებ დაადგინა: 1) მიენდოს რაიონულ გამგეობას, ცენტრალურ გამგეობის ზედამხედველობით სასტიკი ყურადღება მიაქციოს გაეროვნების გატარებას ცხოვრებაში 2) ტერმინოლოგიის კომისიას დაევალოს სასწრაფოდ გამოაქვეყნოს ქართული ტერმინები. 3) რომელი პირნიც არ აღმოჩნდებიან სათანადოდ მომზადებულნი—გამგეობას უფლება ეძლევა დაითხოვოს ისინი, რისთვისაც უნდა წარედგინონ ის პირნი მთავარ გამგეობას და ოლქის უფროს სისრულეში მოსაყვანად და 4) ეთხოვოს ოლქის უფროსს გამოსცეს ამის შესახებ ბრძანება მთელ ფ. ტ. ოლქის საყურადღებოდ.

წერილი რედაქციის მიმართ

მოწყალეო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც განსვენებული მიხეილ დავითის-ძის მაჭავარიანის ხსოვნის პატივისაცემლად ფული შემოსწირეს არგვეთის არჩილ ჯორჯაძის სახელობის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. ამასთანავე გაახლებთ შემომწირველთა სიას:

ხუთი თუმანი: სონა გუია დგებუაძის ასულმა. **ოც-ოც და ხუთი მანეთი:** ნიკოლოზ მაჭავარიანმა, ჯიბო მაჭავარიანმა და ძმებმა ოქროპირ და პავლე აბაშიძეებმა, **თითო თუმანი:** ჯიბო იაშვილმა, მიშა იაშვილმა, ბაბილინე იაშვილისამ, გიგა ჯაფარიძემ, მიხეილ დავ. კურცხალიამ და კოტე მდივანმა. **ხუთ-ხუთი მანეთი:** პელაგია მაჭავარიანისამ, საშა ჯაფარიძემ, ერმალოზ ლორთქიფანიძემ, თაფლო ყიფიანმა, მელქისედეკ მიქელაძემ, ანდრო ლორთქიფანიძემ, ყარამან იაშვილმა და კალისტრატე მაჭავარიანმა, **სამ-სამი მანეთი:** ალექსანდრე კურცხალიამ, პეტრე ბაქრაძემ და იასონ რაშვილმა, **ორ-ორი მანეთი:** ქეთევან კურცხალიამ, ივანე აბრამიშვილმა და ილია ქვათაძემ. **თითო მანეთი** მიშა ჩხიკვაძემ, ანტონ ბერიძემ და გიორგი ბერიძემ. სულ 251 მ.

ალ. კურცხალია.

გამომცემელი
სამხონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოსის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარლვევი, და სხვა. ამასთანავე ვიღებ შეკვეთილებს: კაბებს, პალტოებს, თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწვდომ ფასად.
გორის ქუჩა, № 18. 2278

წისქვილის ქვები

2 წყვილი საუკეთესო ხარისხისა იყიდება შემთხვევით. მისამართი ვერის დაღმართი № 29. პურის საწყობი ფრუიძისა. 2279

ექიმი ბ. მ. მუხაძე იღებს სალოსტაქრო ავადმყოფთ. საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ. სახლი სვანიშვილისა, ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ე. ი. ბერიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმროო „ნოვს“ პირდაპირ № 34. 381

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათადის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-ხაბაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხელობით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. [illegible] მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ქრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდუბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ბ. ბ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დროში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92 1340

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი მ. ქ. აბა[illegible] შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქის ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი.
მელიქოვის ქ. № 12. 1069

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ლ. ა. ხარაიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევინზონისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულისა, კუჭისა და ჭლექებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო

მძ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

ა. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ერლის) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იზნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმი ს. დ. ტურაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

ექიმ ნანახარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნანახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ბ. აგახაროვი 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. ავეტისიანი—11—12 [illegible] ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნანახარდიანი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახალხო საქმე“ შარდენის ქუჩა